



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

28 მაისი 2026



N 21/7453

შპს „მთის ქანი“-ს დირექტორს
ბატონ გია ცისკარიძეს

მის: ქალაქი ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ., №43, ბ. 84

ელფოსტა: Info.mtisqani@gmail.com

ბატონო გია,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №6642 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება და გაცნობებით შემდეგს:

ა) სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp-ფაილში წარმოდგენილია მხოლოდ საწარმოსთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 21.06.32.245), ხოლო უშუალოდ საწარმოს ტერიტორია მოცემული არ არის. შესაბამისად, shp-ფაილში საწარმოსთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად, ასახული უნდა იქნას უშუალოდ საწარმოს ტერიტორია (საწარმოს შემადგენელი ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორია).

ბ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია დაახლოებით 452 მეტრით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 290 და 310 მეტრში ფიქსირდება კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთები (ს/კ: 21.06.34.366; 21.06.34.703) მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობით. შესაბამისად, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილები საჭიროებს დაზუსტებას, სიტუაციურ რუკაზე დატანით.

გ) მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო მიწის ნაკვეთის 500-მეტრიან რადიუსში ფიქსირდება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ: 21.06.32.210; 21.06.32.211; 21.06.32.362; 21.06.32.048; 21.06.34.960; 21.06.34.627) მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. სკრინინგის განცხადებაში ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის და საჭიროებს დაზუსტებას.

დ) სკრინინგის განცხადებაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებები უნდა შეფასდეს უახლოეს მოსახლესთან დაშორების დაზუსტებული მანძილის, ასევე 500-

მეტრიან რადიუსში (ს/კ: 21.06.32.210; 21.06.32.211; 21.06.32.362; 21.06.32.048; 21.06.34.960; 21.06.34.627) განთავსებული შენობა-ნაგებობების დაზუსტებული ფუნქციური დანიშნულებების გათვალისწინებით.

ე) ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ ფიქსირდება მდინარე აჭარისწყალი, რომლის სიგრძე 90 კილომეტრს შეადგენს, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების დროს გასათვალისწინებელია „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილება. კერძოდ, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს მეტრებში შემდეგი წესით: ა) 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის – 10 მეტრი; ბ) 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის – 20 მეტრი. გ) 75 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის – 30 მეტრი. დ) 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარეებისათვის – 50 მეტრი. წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზემოაღნიშნული კანონითა და ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები.

ვ) ვინაიდან საწარმოო დანიშნულებით წყალაღება დაგეგმილია, მდინარე აჭარისწყლიდან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას მდინარე აჭარისწყლის ჰიდროლოგიური ანგარიში წყალაღების კვეთში (მდინარე აჭარისწყლის დახასიათება, საშუალო მრავალწლიური ხარჯები, საშუალო მრავალწლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილება, წყალაღების რაოდენობა, მდინარეში დარჩენილი წყლის რაოდენობა წყალაღების გათვალისწინებით, წყლის მინიმალური ხარჯები და ა.შ.). ამასთანავე, საპროექტო ტერიტორიის მდინარე აჭარისწყალთან სიახლოვის გათვალისწინებით, ჰიდროლოგიური საფრთხეების დადგენის მიზნით, საჭიროა ჩატარდეს ჰიდროლოგიური და ჰიდრაულიკური კვლევები.

ზ) სკრინინგის განცხადებაში მითითებული წყლის ამოღების და გამოყენებული წყლის ჩაშვების წერტილების GPS კოორდინატები ერთმანეთის იდენტურია (X-747702 Y-4611674) და საჭიროებს დაზუსტებას.

თ) სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს მდინარე აჭარისწყლიდან ასაღები წყლის რაოდენობები თვეების მიხედვით (წლის ჭრილში).

ი) სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლის პოტენციური დაბინძურების წყაროების არსებობის შესახებ ინფორმაცია და ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლის შემდგომი მართვის საკითხი.

კ) სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ გენგეგმაზე დატანილი უნდა იყოს სალექარის განთავსების ადგილი, ხოლო სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნას აღნიშნული სალექარის ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია (გაწმენდილ წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ხარისხობრივი მაჩვენებლები).

ლ) სკრინინგის განცხადებაში სრულად არ არის წარმოდგენილი ნარჩენებისა და მათი მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

მ) ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს მდინარისა და სახელმწიფო ტყის სიახლოვეს, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების და მასზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე საჭიროებისამებრ მოცემული უნდა იქნას სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები.

ნ) სკრინინგის განცხადების 3.2 და 3.3 ქვეთავებში განხილულია „საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები“ და „ტექნოლოგიური ალტერნატივები“. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლის საგანს და წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებისთვის არარელევანტურია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5¹ ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

პატივისცემით,

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/7453-21-2-202605280932>

